სახალხო გაზეთი

№ 1149 ხუთშაბათი, 27 მარტი 1914 წ. № 1149

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი
№ 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.
ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

კავკასიის
სავაჭრო-სამრეწველო ბანკის
საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად ბანკის აქციონერთა დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებისა,
ბანკი დაარსდება ქალაქ ტფილისში, და მისი განყოფილება ქ. ბაქოში (განყოფილებანი სხვა ქალაქებში შემდეგ გაიხსნება),
თითო აქცია ეღირება **250** მან. და წინასწარ უნდა იქნას შემოტანილი ყოველ აქციაზე **26** მან.

ხელის-მოწერა აქციებზე დანიშნულია აპრილის 21-დან 30-მდე ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

ტფილისში—სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა, სახ. სარაჯიშვილისა) ბანკის თავმჯდ. დ. ე. ჩოლოყაშვილთან, ს. ილ. ფორაქიშვილთან და პ. ალ. გოთუასთან. **ქუთაისში**—საურთიერთო ნდობის ბანკში დირექტ. რ. უ. დათეშიძესთან და ი. გ. კემულარიასთან. **სოხუმში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, თავმჯდომარე ნ. ყ. თავდგირიძესთან. **თელავში**—საზოგად. „კახეთის“ კანტორაში, ალ. რ. ვახვახიშვილთან. **ჭიათურაში**—საურთ. ნდობის ბანკში, კ. გრიგოლაშვილთან. **ბათომში**—საურთ. ნდობის ბანკში, ნ. ა. საბაშვილთან და ბანკის თავმჯდომარე ს. მდივანთან. **ბაქოში**—ნავთის მრეწველის ნ. ი. ჯაყელის კანტორაში, ნ. ი. ჯაყელთან, იოსებ ი. დადიანთან და ლ. ქ. მამულაიშვილთან. **ქავკავში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, ბანკის გამგე ი. მ. ლორთქიფანიძესთან. **სიღნაღში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, კ. ჯაფარიძესა და კ. ტყავაძესთან. **გორში**—საურთ. ნდობის ბანკში, მ. სოლოღაშვილსა და ღ. მაჭავარიანთან. **ყვირილაში**—საურთ. ნდობის ბანკში, თავმჯ. კ. გიგინეიშვილთან. **ფოთში**—საურთ. ნდობ. ბანკში, ბირჟის კომიტეტის თავმჯ. ა. ლ. ქავთარაძესა და ნ. ი. ნიკოლაძესთან. **ყარსში**—ი. ელენტის აფთიაქში. **ხონში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, გამგეობის თავმჯდომარე გ. ბახტაძესთან. **ლაგოდეხში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, გამგეობის თავმჯდომარე გ. სტრუასთან.

ვისაც აქციების შეძენა ჰსურს, ხელი უნდა მოაწეროს დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილებში და მიიღოს კომიტეტისაგან შესაფერი ორდერი, რომელთან ერთად უნდა წარადგინოს თითო აქციაზე 26 მან. ტფილის. **სახელმწიფო ბანკის კანტორაში** (სხვა ქალაქებში სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში ან ხაზინაში—ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში გამოსაგზავნად), სადაც კომიტეტის სახელზედ გახსნილია ცალკე მიმდინარე ანგარიში, სავაჭრო სამრეწველო ბანკისათვის წინასწარ შემოსატანი ფულის მისაღებად.

ვინც აქციებზე უკვე მოაწერა ხელი, დანიშნულ ვადაზე უსათუოდ უნდა კომიტეტისაგან ორდერები მიიღონ და ფული სახელმწიფო ბანკში ან ხაზინაში შეიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქციები დაეთმობათ იმ პირთ, ვისაც ხელი ჯერ არ მოუწერიათ.

ბანკის დამფუძნებელნი:

1. მანსვეტაშვილი ი. ა., ნავთის მწარმოებელი
2. თუმანიშვილი თ-დი ლ. ალ., გამგე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ნავთის წარმოებისა
3. ბოსტაგანიშვილი ა. ი., ვაჭარი
4. მამულაიშვილი ლ. ა., ბაქოს ნოტარიუსი
5. კვეზერელი კოპაძე ი. ნ., ვაჭარი
6. ძეგველოვი, თევზის მრეწველი.
7. წერეთელი სამ. მ., შავი-ქვის მწარმოებელი
8. გოკიელი პ. ი., ვაჭარი
9. ჯაყელი ნ. ი., ნავთის მწარმოებელი
10. მუხთაროვი მურტუზა აღა ნავთის მწარმოებელი
11. ხოშტარია ა. მ., ხე-ტყის მწარმოებელი
12. ფორაქიშვილი ს. ი., ვაჭარი
13. სესიაშვილი ნიკ. მ. ვაჭარი
14. სვანიშვილი ი. გ. შავი ქვის მწარმ.
15. ბარამიძე ნ. ს. ვაჭარი
16. იაკობიშვილი შ. შ., ვაჭარი
17. საბაშვილი ნ. ა, ვაჭარი
18. რიჟინაშვილი რ. ელ., ვაჭარი
19. ქავთარაძე ა. ლ. ფოთის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე.

მისამართი მთავარი ბიუროსი:
ტფილისი, სამეურნეო ბანკში

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

1134

ეფემია გიორგის ასული ფაილაძე გულითად მადლობას უცხადებს თავად-აზნაურთა მე-4 და მე-6 კლასის მოწაფეებს, იმავე გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრეს, წმ. ნინოს სასაფლაოს მღვდლებს და მეგობრებს საყვარელი შვილის მე-6 კლასის მოწაფის

დავით ფაილამის

დასაფლავებაში დახმარებისათვის.

დედა მატრონა, ბიცოლა მაკრინე, დები ნატალია ნინო და ანნა ფერაძეები და სიძე ნაუმ იროდიონის ძე ზეზეშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

გრიგოლ სერაპიონის ძე ფერაძისა

გადახდილ იქნება **სოფ. საქარაში** (სადგ. ყვირილის მახლობლად) კვირას 30 მარტს წმ. გიორგის ეკლესიაში. 200

ტელეფ. **ქართული თეატრი** № 795.

ხუთშაბ., 27 მარტს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

მამულ-დედული (ანუ მშობლიურ ძირ ძველ).

დრამ. 4 მოქ. გ. ზუდერმანისა, თარგ. ვ. გუნიასი.
მონაწილეობენ ქ. ქ.: მდივანი, პიერეტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩხეიძე, ჯავახიშვილი, ქოდალაშვილი. ბ-ნნი: გუნია, ზარდალიშვილი, შალიკაშვილი, ხონელი.
დასაწყ. საღ. რვა-ნახევარ საათ. ◆ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი მ. ქორელი. ადმ. ქარ. დრამ. საზ.

1078

სანატორიუმი
,,რუსული დავოსი'',
აბასთუმანში.

[illegible], სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით დაავადებულთათვის. საუცხოვო გამწვანებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეურნეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მუშრაბიანცს, 1 მაისამდე ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ.,** № 23. 1 მაისს შემდეგ—აბასთუმანში. ზღვ. ზედაპირიდან 1273 მეტ. ტე. გუბ. ტელეფონის № 7—92.

1087

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ბორლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1094

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქნიაჟევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექტ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ზონდოვიჩი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2\frac{1}{2}$.
კან. და ვენერ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ.

1070

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა ქვირისა.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.
მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606“, „914“.**

1088

ახლად გაიხსნა
სასტუმრო სასადილო
„სინათლე“

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.
ყოფილი „სიცილია“ და „არარატი“
პატ.-ცემით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები“.

1077

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 8, სახ. ბაბაშვილისა.

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3.

1022

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

გაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“.

1023

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50.

1084

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაგაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შესხაპუნება „914“, „606“. 1040

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

ექიმი **ზ. ნ. მაგაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე**, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.

1053

ქ. გორში

(დოქტორანტი)

ექიმი **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ- · 1050

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ვენერიულ და კანის ავადმყ.: ვასერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღ. ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი **ზ. ა. მიქელაძე**

მიიღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე** მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ნაძალადევში

ექიმი ხუდადოვის ქ., 4.

ი. რ. სურგულაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს

ბულანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოლუთოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

გორონოვიჩი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გნუჩკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაშა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ახპახოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი, ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კოლომიტროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოსიპენკოვა. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

[illegible]—[illegible] შაბ. და კვ., 4—5 ს.

ზაგლოვკა—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ტფილისი, 27 მარტი

ინგლისის ამბები. ირლანდიის ავტონომიის საკითხი ძალიან დიდს საკითხად იქცა არა მარტო იმიტომ, რომ თვით ბრძოლა ირლანდიელებისა პოლიტიკური თავისუფლებისთვის დიდმნიშვნელოვანია, არამედ იმიტომაც, რომ მას დაუკავშირდა ძირითადი სახელმწიფოებრივი საკითხები. ინგლისის საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნებისთვის ავტონომისტური წეს-წყობილება უცხო არ არის, ინგლისის ახალშენებში დიდი ხანია განხორციელებულია ავტონომიური მართვა-გამგეობა; მათ საშუალება აქვთ მინიჭებული საკუთარ ცხოვრებას თვითონვე გაუძღვნენ, არ უცდიან ცენტრის დირექტივებს, რომლებიც უმეტეს წილად სახელმწიფოებრივ ცხოვრების წინმსვლელობას აფერხებენ და ყაზარმულ დისციპლინას ამყარებენ იქ, სადაც სხვანაირ პირობებში, ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობა იქნებოდა გაჩაღებული. ინგლისმა შეითვისა ავტონომისტური აზროვნება და ამით მოიგო არა მარტო ახალშენელებმა, არამედ თვით ინგლისმაც. განდგომის, სეპარაციის შიში ინგლისში აღარ არსებობს, არ არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ დაკმაყოფილებული და თავის შინაურ საქმეებში სრულიად თავისუფალი ახალშენები განდგომაზე აღარა ფიქრობენ. ბურებიც კი, რომლებიც ამ რამდენისამე წლის წინად თავ-გამოდებით ეომებოდნენ ინგლისს, ეხლა კმაყოფილნი არიან და მთელ თავის ძალღონეს ანდომებენ შინაურ მშვიდობიან სოციალურ შემოქმედებას.

ავტონომია არა ჰქონდა მხოლოდ ირლანდიას, რომელიც დიდი ხანია იბრძვის თავისუფლებისათვის. ამასაც თავისი განსაკუთრებული მოსაზრებები ჰქონდა. ლიბერალური მთავრობა მომხრეა ირლანდიის ავტონომიისა, მაგრამ კონსერვატორები, ლორდები, რომელნიც პირადად არიან დაინტერესებულნი, ეწინააღმდეგებოდნენ ირლანდიის ავტონომიას. მაგრამ ლიბერალურმა მთავრობამ მათ სიჯიუტესაც ბოლო მოუღო, ალაგმა ლორდების თავგასულობა და საქმე იმნაირად მოაწყო, რომ სხვა გზა აღარ დარჩათ, ძალა-უნებურად უნდა დაჰმორჩილებოდნენ ბედს. ლიბერალურმა მთავრობამ ხალხს მიჰმართა, სთხოვა ნდობის გამოცხადება განზრახული რეფორმის განსახორციელებლად და ხალხმაც ნდობა გამოუცხადა. ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა კი კონსტიტუციონალიზმის ისეთ კლასიკურ ქვეყანაში, რანაირიც ინგლისია, დიდი ძალაა. ლორდებს კბილი მოეჭრათ. საკონსტიტუციო გზით რომ ვეღარას გახდნენ, აჯანყებას მიჰმართეს. **ჯგუფი** კონსერვატორებისა და ირლანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგებისა აჯანყებას აპირებდა ლიბერალურ მთავრობისა და ყველა იმის წინააღმდეგ, ვისაც საჭიროდ მიაჩნდა ირლანდიის სამართლიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კრიზისმა რაოდენამდე გაიარა. აჯანყებისა ეხლა აღარავის ეშინიან. მაგრამ, სამაგიეროდ, დაიბადა მეორე საკითხი, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი დაადგა იმ აზრს, რომ საჭიროა თვით ინგლისის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების **გარდაქმნა** ფედერატიულ წეს-წყობილებად. ეს უკვე თეორია კი არ არის, ეს არის პრაქტიკული ზომა, რომლის განხორციელებასაც აპირებენ არა რომელიმე პუბლიცისტი, არა რომელიმე ოპოზიციაში მდგომი პოლიტიკური პარტია, არამედ ისეთი ელემენტები, რომელნიც ამ ჟამად ინგლისის მართვა-გამგეობის სათავეში დგანან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ახალი გამოხატულება იმ პოლიტიკურ-სოციალური შემოქმედებისა, რომელიც სწარმოებს ინგლისში. ის, რაც სხვაგან მხოლოდ ფორმულებად, მშრალ თეორიების სახით ვრცელდება, ინგლისში ხორცს ისხამს და ასე ხორცსხმული ევლინება ევროპიელის განცვიფრებულ გონებას.

ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებას და სახელმწიფოებრივ გონიერების ისტორიას კიდევ ერთი ფურცელი ემატება. დღევანდელი მდგომარეობა ინგლისისა მარტო ამ მხრით არ არის საინტერესო. ინგლისში სწარმოებს არა მარტო პოლიტიკური სააღმაშენებლო მუშაობა, სწარმოებს სოციალურიც. განზრახულია მთელი რიგი ისეთი რეფორმებისა, რომელთაც შიშით შესცქერის არა მარტო ინგლისელი, ევროპის კონსერვატორიც. „გვიშველეთ, ინგლისის მთავრობა გაგიჟდა, სოციალიზმს ანხორციელებსო“, ჰყვირიან დამფრთხალი კონსერვატორები.

ის, რასაც ინგლისის მთავრობა ანხორციელებს, რა თქმა უნდა, სოციალიზმი არ არის, მაგრამ მაინც ფრიად საყურადღებოა. ინგლისის მთავრობამ თავისუფლადა და თამამად მოიცილა რუტინა, ტრადიცია და გაბედულის ხელით შეუდგა ისეთი რეფორმების განხორციელებას, რომლებსაც ევროპიელი დოგმატიკოსი უსათუოდ რევოლუციონურ აქტად მონათლავდა.

ამიტომ რაოდენადმე მართალნი არიან ისინი, ვინც ამბობენ, ეხლანდელ მთავრობას კონსერვატორები იმდენად ირლანდიის ავტონომიისთვის არ ებრძვიან, რამდენადაც ამ სოციალური ხასიათის რეფორმებისთვისაო.

ქართული პრესა

„ჩვენ ერში“ თ. ღლონტი კვლავ ეხება ტერიტორიის საკითხს და ამტკიცებს, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომც საქართველოს ტერიტორიის შემცირებით მთავრობას ჰსურდეს სომხური ტერიტორიის შექმნა. ავტორი ასე ახასიათებს მთავრობის პოლიტიკას.

რუსეთის სახელმწიფო მთელ მეXIX საუკუნის სივრცეზე აწარმოებდა არა ქართველთა, სომეხთა, თათართა და სხვების სასარგებლო საზოგადო-სახელმწიფო პოლიტიკას, არამედ იგი სახელმწიფო ჰქმნიდა და ამეფებდა, აკეთებდა მთელს კავკასიაში წმინდა რუსულს საქმეს. სახელმწიფოს პოლიტიკა მუდამ ორმაგი პოლიტიკა იყო, იგი ხან ქართველთა ყალბ ფავორიტიზმში (მფარველობაში) იხატებოდა, ხან თათრებისა, ხან სომხების ფავორიტიზმში, მაგრამ ეს ფავორიტიზმიც მომასწავებელი იყო მფარველობაში მყოფი ერის უბედურებისა, ეროვნული შულის გაღვივებისა, არარუსთა საზოგადო და ეკონომიური ძალების დაუძლურებისა.

ქართველების მაღალ წოდებას მფარველობას უწევდა რუსეთის სახელმწიფო, მაგრამ იგი წოდება მფარველობის მიუხედავად მალე გაკოტრდა ისე, რომ თავისი წრიდან ბურჟუაზიაც კი ვერ გაანვითარა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ქართველთა ყალბ ფავორიტიზმში დაჩრდილული იყო ის საქმე, რომელიც ქართველთა ძალების აბსოლუტური დაცემას იწვევდა. რუსეთის სახელმწიფოს სომხობისადმი არავითარი სენტიმენტალური გრძნობები არ აკავშირებს. რუსეთისათვის სულ ერთია ქართველი თუ სომეხი, მისთვის მისი უმაღლესი იმპერიალისტურ-აგრესიულ-ნაციონალისტური საქმისათვის მხოლოდ რუსული ელემენტებია საჭირო და ძვირფასი. ამ ჟამად სწარმოებს ჩვენში მხოლოდ რუსული საქმე. გალიცინმა დაიწყო ეს რუსული საქმე, გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი ნიჭიერი მესვეურია ამ საქმისა.

წერილს ამ სიტყვებით ათავებს თ. ღლონტი.

დიაღ, საშინელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ეს საშინელება სომხობიდან არ მოდის. ყველა უნდა ჰხედავდეს, საიდანაც მოდის იგი საშინელება და სწორეთ ამ მხარეს უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება, სომხობისა და თათრობისა შიში ჩვენ არ გვაქს, ჩვენ მოვითხოვთ თავისუფალი მეზობლების თავისუფალ მეტოქეობას. პროცესი თავისუფლად წარმოებული საზოგადოებრიობისა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველ მშრომელ ხალხში საკმაო ძალაა კიდევ დაგროვილი, რომ მან მტკიცედ დაიცვას თავისი ვინაობა, თავისი მამული და ცხოვრება, თუ ხსენებულ მუშას წელი არ მოსწყვიტა ცხადმა თანამედროვე პოლიტიკამ.

⁂

ამავე საგანს ვრცელს წერილს უძღვნის **„ბათუმის გაზეთი“**. ტერიტორიის საკითხს ორი მხარე აქვსო, ამბობს გაზეთი: აგრარული და ეკონომიური, ეროვნული და პოლიტიკური: ტერიტორიის საკითხი აინტერესებს კერძოდ უმიწა-წყლო გლეხობას, მშიერ-მწყურვალ მშრომელს ხალხს, როგორც სოციალურ-ეკონომიურ კათეგორიას, მაგრამ ტერიტორია იმავე დროს შეეხება მთელს ქართველს ხალხს, ერს, როგორც ეროვნულ-პოლიტიკურ კათეგორიას. დემოკრატიამ უნდა გადაჭრას მიწის საკითხი გლეხთა საჭიროების მიხედვით, მაგრამ ამასთანავე იგი გვერდს ვერ აუქცევს ტერიტორიის მეორე მხარეს: ტერიტორია ერის კუთვნილებაა, ტერიტორიალური საკითხი გადაწნულია ეროვნულ საკითხში და მათი დაშორება შეუძლებელია.

გაზეთი ეკამათება ქუთათურს „აზრს“ და ეკითხება: ტერიტორიის საკითხი რომ მხოლოდ აგრარული საკითხი იყოს, მაშინ რაღაა ფინლანდიის, უკრაინის, პოლონეთის და სხვა დამონებულ ერთა კითხვებიო?

გაზეთი მიუთითებს „აზრს“ ავსტრიალიის, ფინლანდიის, ელზას-ლოთრინგის, ირლანდიის და სხ. სოციალისტებზე, რომლებიც იცავენ თავის ქვეყნების ხელშეუხებლობას; ამასვე მოითხოვს და იცავს ავსტრიის ერებისათვის იქაური მუშათა პარტიაო. შემდეგ მოჰყავს ავსტრიის ცნობილ სოციალისტი პერნერსტორფერის აზრი:

ეროვნული კითხვა მეტად რთულია. ყოველ ერს უნდა, რომ ჰქონდეს თავისი საკუთარი ადგილი. მაგრამ ეროვნული პრობლემა ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებისთვის ძალადობის კითხვად ხდება. ჩვენთვის სოციალისტებისთვის, კითხვა ეხება მშვიდობიანი ურთიერთობის დამკვიდრებას. საერთაშორისო სოციალიზმს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია ნაციონალური პოლიტიკის მტკიცე საფუძვლები. „ჩვენ, ავსტრიელებმა ბრუნის პროგრამით უკვე გამოვიმუშავეთ ჩვენთვის ასეთი საფუძველი, რომელიც აღიარებს: ხელშეუხებლობა ეროვნული ტერიტორიის, უმცირესობის დაცვა, ეროვნულ საქმეთა ავტონომიური მართვა-გამგეობა“. ამ ნაირად როგორც ჰხედავთ, მუშათა პარტიას შესძლებია ტერიტორიის ხელშეუხებლობის მოთხოვნა. ეს ცუდად ცოდნია „აზრი-ს“ მეთაურს. ცუდად ცოდნა თავისთავად ცოდვა როდია. ის ხდება ცოდვად, როცა სათნოების და ქადაგების სახით ევლინება მკითხველებს. ფრიად სამწუხაროა, რომ სერიოზული პოლიტიკური მოღვაწეებისთვის სადაოდ და საეჭვოდ გამხდარა მთელი ევროპის პოლიტიკური და უფლებრივი ცხოვრების უბრალო ფაქტი—დამონებული ხალხის ტერიტორიის მთლიანობის და უზრუნველყოფის კითხვის არსებობა. რითი აიხსნება ეს გარემოება? ერთი მიზეზი ამ გაუგებრობის ის არის, რომ „აზრს“ ერის ტერიტორია ესმის „ობივატელურად“ მაშასადამე ყალბად და არა მეცნიერულად და პოლიტიკურად.

⁂

გაზეთი **„აზრი“** ყურადღებას აქცევს ჟურნალ-გაზეთის მნიშვნელობას მდაბიო ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

არც ერთი მუშა უგაზეთოდ, თვით მიყრუებული სოფლების პაწია კუთხეებს ერთი მუშათა გაზეთი მაინც—აი რას მოითხოვს მშრომელი ხალხის ინტერესები და მისი პრესის კეთილდღეობა.

მრავალია წერა-კითხვის უცოდინარი მუშა და შეგნებული გლეხი, დაინტერესეთ ისინი გაზეთით და წერა-კითხვას სულ რამოდენიმე კვირაში შეისწავლიან. ამის უთვალავი მაგალითია ყველა სამრეწველო ცენტრებში.

დროა, საქმეს დაუყონებლივ შევუდგეთ.

⁂

ჟურნალ **„თეატრის და ხელოვნების“** უკანასკნელ ნომერში შემდეგს სამართლიანს სიტყვებს ვკითხულობთ:

საჭიროა დრამატიულმა საზოგადოებამ ანუ დრამატიულ დასის მსახიობთ შეადგინონ ერთი ანუ ორი რიგიანი დასი, თვითეულმა ერთი ანუ ორი პიესა აირჩიოს, კარგად მოამზადოს და საზაფხულოდ გაემგზავროს სოფლებისაკენ, უმთავრესად სოფლებისაკენ: —ერთი დასი რომ აღმოსავლეთ საქართველოდან დაიწყებს, მეორემ დასავლეთ საქართველოდან უნდა დაიწყოს და ისე შემოიარონ უმთავრესი სოფლები. ამისთვის, რასაკვირველია, ადრევე უნდა გაიგზავნოს კაცი შესაფერი თადარიგის დასაჭერად...

ჩვენ გვწამს, რომ ყველა კუთხის დაბა-სოფლის მცხოვრებნი ასეთ მოგზაურ დასებს დიდის სიხარულით მიეგებებიან.

ასეთი მოგზაურობით მოგებას თუ არა ზარალს მაინც არა ნახავენ, თავს დაირჩენენ, და სოფელსაც ერთხელ მაინც განაცდევინებენ სიამტკბილობის წუთებს.

სახელმწიფო სათათბირო

24 მარტის სხდომა.

როძიანკოს თავმჯდომარეობით იხილავენ „პროვოდნიკის“ ქარხანაში, რიგაში, საქარხნო ინსპექციის უმოქმედობის გამო შეტანილს შეკითხვას. **ზამისლოვსკი** ქარხნებში მომხდარ ამბებს ქიმიურ ობსტრუქციას აწერს და მოითხოვს შეკითხვის მიღებას. **ჩხეიძე** მოითხოვს შეკითხვის მიღებას და აცხადებს, სანამ ზამისლოვსკი არ დაამტკიცებს თავისს თქმულს, მანამ იგი ცილისმწამებლადა და პროვოკატორად მიმაჩნიაო.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა ჩხეიძე ორს სხდომიდან გააძევონ. ეს წინადადება მიიღეს 148 ხმით წინააღმდეგ 47.

შეაქვთ წინადადება, რომ სათათბიროს წევრებისა, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარმა კომისიამ გაარჩიოს, რა იყო მიზეზი მუშების მოწამვლისაო. ხმის მიცემით ეს წინადადება არ მიიღეს.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მგოსანი იროდიონ ევდოშვილი** 25 მარტს სოხუმიდან ტფილისს ჩამოვიდა. გუშინ მგოსანი რედაქციაში გვეწვია და კარგა ხანს იმუსაიფა. ავადმყოფი შესამჩნევად მოკეთებულია. რამდენსამე ხანს იგი ტფილისში დარჩება, ზაფხულში კი სადმე საავადმყოფოდ წასვლა მოუხდე

◆ **მარტყოფის სამეურნეო თათბირისთვის** მზადებას უკვე შეუდგა ქართული სამეურნეო საზოგადოება. თათბირი გაიმართება 15-დან 20 აპრილამდე. საზოგადოების საბჭოს მდივანმა ვ. ი. რცხილაძემ მოლაპარაკება გამართა დიდ ფირმებთან, რომელთაც სურვილი აქვთ საჩვენებლად მარტყოფში წაიღონ სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანა. ამ თათბირს დაახლოვებით ისეთივე ხასიათი ექნება, როგორც საგარეჯოს თათბირს.

◆ **ახალი ბიბლიოთეკები.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებას ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო, გახსნას ს. ამაღლებაში (ოზურგეთის მაზრა), უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო მღვდლის ეპიფანე ჯიბლაძის პასუხისმგებელ გამგებლობით.

საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გახსნას აბაშაში (სენაკის მაზრა), უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

◆ **დიდი სეირნობა-საღამო.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, 25 მაისს ახალ კლუბის დარბაზსა და საზაფხულო სადგომში დიდი სეირნობა-საღამო (ლოტარეია-ალეგრით) გამართოს საზოგადოების ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად.

◆ **კავკასიის სააბრეშუმო სადგური** მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში საინსტრუქტორო მოღვაწეობისათვის თვის მოხელეებს შემდეგ ადგილებში ჰგზავნის: სადგურის განყოფილების გამგეს გ. გ. სუნდუკიანცს—ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში; უფროს მეაბრეშუმეს ა. ს. ჟუკოვსკის—სტავროპოლის გუბერნიასა და თერგისა და ყუბანის ოლქში; უფროს მეაბრეშუმეს ი. გ. ქუთათელაძეს—ქუთაისის გუბერნიასა, ბათომისა და სოხუმის ოლქში და შავი ზღვის პირას ტუაფსემდე; უმცროს მეაბრეშუმეს ი. კ. დიტერიხს ნუხისა და არეშის მაზრაში (განჯის გუბერნია); უმცროს მეაბრეშუმეს პ. ი. კირისკოვს-კარიაგინისა და ჯევანშირის მაზრებში (განჯის გუბერნია) და გეოკჩაისა და შემახის მაზრებში (ბაქოს გუბერნია).

◆ ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის ბოლო კლასის მოსწავლენი ამ ჟამად პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ ს. სკრაში (გორის მაზრა), მ. ი. ფრიდონოვის ხეხილის ბაღებსა და სანერგეებში. მოსწავლეებს ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებელი ნ. ლ. კალანდაძე და ფრიდონოვის მამულის გამგე ს. ა. ავეტისოვი.

◆ **გაზეთის აკრძალვა.** 23 მარტს, საღამოს 8 საათზე, „ნადეჟდა“-ს სტამბაში მივიდა პოლიცია და წაიღო საორშაბათო გაზეთის „ფიქრი“-ს მე-21 ნომერი. გაზეთი ქუჩებზედაც ჩამოართვეს გაზეთის გამყიდველებს.

◆ ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგ. გამგეობამ დაუნიშნა ოდესის უნივერსიტეტის საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტის სტუდენტს ქრისტეფორე რაჭველიშვილს.

◆ 25 მარტს ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში (ავლაბარში) სალიტერატურო დილა გაიმართა პოეტის მ. ი. ლერმონტოვის ხსოვნის აღსანიშნავად.

◆ დღეისთვის დანიშნულია კომისიის კრება, რომელმაც უნდა შეაფასოს საპოლიტეხნიკუმო ადგილში გასაყიდი მიწები.

◆ ტფილისს ჩამოვიდა პრო რაგუზსკი, რომელიც პოლიტეხნიკუმის საქმეთა გამო მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნ კო კომისიამ მოიწვია.

◆ ქალაქის ლომბარდისთვის ქალაქის გამგეობა ბინას ქირაობს მელიქ აზარიანცის შენობაში (ვე[illegible] ბლმართთან) 3,000 მან. წლიურად.

◆ ტფ. საგუბერნიო ადმინისტრაციამ ნება დართო იასონ მათე კერესელიძეს, რათა ტფილისსა და ტფ. გუბერნიაში წიგნები ჰყიდოს.

◆ ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს მხატვრულ ხელოვნებათა გამოფენაში, რომელიც ლეიპციგში იმართება. ამ აზრით სხვათა შორის, დაადგინა, მიმართოს ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რათა მიაწოდონ მას გამოფენისათვის თვის გამოცემათა თითო ნომერი.

◆ აკოფ შორიანცმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური სომხური გაზეთი, სახელად „კიან[illegible]კჰინ“ (ცხოვრების გზა),

✦ საფოსტო წერილებისა და დეპეშების მიღება დაიწყება 16 მაისიდან ლორუთის სასოფლო სამმართველოში (ბორჩალოს მაზრა).

✦ როგორც პეტერბურგის სააგენტო იტყობინება ბათომიდან, **მფრინავი ქებურია** აუარებელი ხალხის თვალწინ 25 მარტს აფრენილა და ზღვაში ჩავარდნილა. ქებურია გადაურჩენიათ, საფრენი მანქანა კი ზღვაში ჩაძირულა.

✦ **წალვერის სატყეო** სკოლაში დაიწყო ყმაწვილების ჩაწერა და გაგრძელდება 1 მაისამდის (მალაკნების ქ., 27).

✦ ექსკურსია. გუშინ, საღამოს, ტფ. სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლენი მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ტყიბულში გაემგზავრენ. ტყიბულიდან ბორჯომს წავლენ და ტფილისში სამის დღის შემდეგ დაბრუნდებიან.

✦ ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის მოქმედების დაწყების ხუთის წლის თავის შესრულების გამო 25 თებერვალს სახალხო სახლში ქალაქის გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ ქველმოქმედის კონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის გამგეობის წევრნი, ხმოსნები და სხვანი.

✦ როგორ განაწილდეს სამუშაო ქალაქის გამგეობის წევრთა შორის,— ამ საკითხის გამორკვევა ქალაქის საბჭომ საგანგებო კომისიას მიანდო. კომისიის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქმნა შემდეგი 14 ხმოსანი: ი. მ. დოლუხანოვი, მაზმანოვი, იოანისიანი, ბაბოვი, ჰრლდაშვილი, ალიხანოვი, ენფიანჯიანცი, ტერტეროვი, თამამშევი, სულხანოვი, ევანგულოვი, ვესელოვზოროვი, ხუნდაძე და ხუნუნცი.

საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2), მოხდება საზოგადო ჩვეულებრივი კრება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა** საგანი კრებისა: 1) ა. ი. სარაჯიშვილის მოხსენება—ეგრეთ წოდებული არტანუჯის ვარიანტი ვეფხის ტყაოსნისა, და 2) ახალი წევრების არჩევნები.

✦ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება, რომელიც დანიშნული იყო 25 მარტისთვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო. კრება ხელმეორედ მოწვეულ იქნება კვირას, 30 მარტს და ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

✦ კბილის ექიმთა შემნახველ-გამსესხებელ და საურთიერთო დამხმარე კასის მონაწილეთა საგანგებო კრება დანიშნულია 28 მარტისთვის, საღამოს 8 საათზე, კბილის ექიმის ფედოტოვის ბინაზე. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს კასის ნივთიერ ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ.

✦ ქალაქის საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა წლიური კრება დანიშნულია დღეისთვის წარსულ წლის ანგარიშისა და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად და თანამდებობის პირთა ასარჩევად.

სასამართლო

✦ ტფ. სამოსამართლო პალატის სესია 25 მარტს ქუთაისსა და სოხუმს გაემგზავრა, სადაც 3 აპრილამდე დაჰყოფს.

ქუთაისი

✦ კვირას, 23 მარტს მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდის წინ მღვდელმა ლეკვეიშვილმა მოკლე სიტყვით მიმართა ხალხს და განუმარტა არჩილის ღვაწლი და ცხოვრება. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ ამავე დღეს არქიელის გორაზე პანაშვიდი გადაიხადეს არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ საზოგადოებას სიტყვით მიმართა მღვდელმა ბაკურაძემ. ხალხი ბევრი დაესწრო. სჭარბობდა მოწაფე ახალგაზრდობა.

ბათომი

✦ 23 მარტს დაუვიწყარ მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად ადგილობრივმა ქართველობამ პანაშვიდი გადაიხადეთ— ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო... სიტყვა არავის უთქვამს...

✦ 23 მარტს ქებურიას უნდა ეფრინა. ხალხი ძალიან ბევრი მიაწყდა „ბულვარს". ნაშუადღევს ხუთ საათზე დაიწყო წვიმა და ფრენას ხელი შეუშალა. ხალხი უკმაყოფილოდ დაიშალა. ბ-ნ ქებურიას განზრახვა აქვს ბათუმიდან სურამის ქედი გადმოლახოს და ტფილისში მოფრინდეს.

რკინის გზებზე.

✦ პეტერბურგში არსებობს სარკინიგზო კურსები, სადაც რკინის გზის მოხელეებს ამზადებენ. როგორც გვატყობინებენ, ამ კურსებზე ამ ჟამად 30 ქართველი ყოფილა.

სიღნაღი

✦ **მკვლელობა.** ჩაფრები მათე ჟურავლიევი და ალექსანდრე აგანაშვილი სამსახურის საქმის გამო სოფ. „ზელიონოე პოლე"-ში იყვნენ. აქ მათ ნახეს სამი უცნობი თათარი. ერთს მათგანს ხანჯალი და ბერდანის თოფი ჰქონდა. ამის გამო ჩაფრებმა ისინი შეიპყრეს. შეპყრობილთ აგანაშვილი გაუძღვა ბოქაულის კანცელარიისაკენ. ისინი წაიყვანა ჩაფართა სადარაჯომდე ს. კაჭრეთში, მათ ერთი ჩაფარი მიუჩინა საყარაულოდ და თვითონ საქობოში გაემგზავრა ბოქაულის შესატყობინებლად. ნახევარ საათის შემდეგ აგანაშვილი ყელგამოჭრილი იპოვეს საქობოსთან, ბილიკზე, ბოქაულის კანცელარიიდან 160 საჟენის მანძილზე. ჩაფრისთვის უცნობთ აეყარათ იარაღი და ის ბერდანა და ხანჯალიც, რომელიც შეპყრობილ თათრებს ჩამოართვა. მკვლელებს ვერ მიაგნეს.

დუშეთი

✦ ამ დღეებში ვიღაც უცნობებს გაუძარცვამთ ს. კორინთის (დუშეთის მაზრა) წმ. მარინეს ეკლესია. წაუღიათ 500 მანეთის ვერცხლეული.

ახალციხე

✦ ყვავილი მძვინვარებს სოფ. აწყურში.

ბორჩალო

✦ ს. გეურარხის მახლობლად მოჰკლეს ამავ სოფლის მამასახლისი მამადი ასან ხალილ-ოღლი. ეჭვი ამავ სოფლის მცხოვრებლებზე მიიტანეს და შეიპყრეს.

სოფლად.

✦ **ს. მუხრანი.** 18 მარტს ვანო ტაბატაძის 12 წლის ვაჟი უგზოდ დაიკარგა. მეორე დღეს ხმა გავრცელდა სოფელში, ებრაელებს მოუტაცნიათ და უწამებიათო. სოფელი ძალიან აღელდა. ებრაელებმა შიშით დუქნები დაჰკეტეს. მოვიდა ბოქაული, რომელმაც ხალხი დაამშვიდა, კარგად მოიკითხეთ ყველგან, გამოიძიეთ და ბრალი ისე დასდეთო. ამ ლაპარაკის დროს ბავშვი მოიყვანეს. თურმე იგი სოფ. აღაიდაში გაჰყოლოდა ნათესავს, რომელსაც ურმით ამოევლო მუხრანზე. საჭიროა ასეთ შემთხვევაში დიდის სიფრთხილით მოიქცეს ხალხი.

✦ **ს. ლილო.** (გარე კახეთი) ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის ბარეცკის მოთხოვნით სოფ. ლილოს სამინისტრო სკოლის ახალი შენობის სააშენებლო კომისიაში აირჩია: სკოლის გამგე ნინო ელიავა, აგრონომი ა. მარქაროვი, ინსტრუქტორი ა. კახელაძე, ი. თიგიშვილი, მ. ფუხაშვილი, ი. ქელდიშვილი; მათ თავმჯდომარედ თ-დი დ. ვ. ვაჩნაძე და მის ამხანაგად მასწ. გ. ახვლედიანი. მუშაობა დაიწყება დაახლოვებით მაისში.

✦ **სოფ. კორბოული** (შორაპნის მაზრა). კვირას, 23 მარტს, კორბოულის ეკლესიაში აუარებელ ხალხის თანადასწრებით კორბოულის სამკითხველოს გამგის მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილისაგან გადახდილი იქმნა წლის წირვა და პანაშვიდი, დიდებული პუბლიცისტის, განსვენებული **არჩილ ჯორჯაძის** სულის მოსახსენებლად, რის შემდეგაც მღ. მაჭარაშვილმა დამსწრეთ, გრძნობიერი სიტყვით გააცნო განსვენებულის დიდი ღვაწლი სამშობლო ერის წინაშე.

„სახალხო გაზეთის" კანტორისაგან

მოვაგონებთ **წლიურ ხელის მომწერლებს**, რომ, ვისაც შემდეგი **ხმვდრი ფული** (2 მანეთი) 1-ლ აპრილისთვის გადახდილი არ ექნება,

გაზეთის გზავნა შოეშაოგა.

დღიური

კერძო და საზოგადო.

კერძო და საზოგადო, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ინდივიდუალური და სოციალური, ერთი მეორეზე გადაბმული და გადახლართული, მჭიდროდ არის ჩაქსოვილი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და აზროვნებაში. ჩვენ არ შეგვიძლიან საზოგადოებრივი ცხოვრების გაკვლევა და გაგება გარეშე ამ ორის მცნებისა, არ შეგვიძლიან რისიმე გაკეთება, თუ ჩვენს სამოქმედო გეგმაში გარკვევით არ განვსაზღვრეთ ამ ორის სახელმძღვანელო აზრის ფარგალი და არ მივაკუთნეთ ერთსაც და მეორესაც თავისი ადგილი. ეს აუცილებელია როგორც უკიდურეს განდეგილისათვის, ისე უკიდურეს სოციალისტისათვის; ამას გვერდს ვერ აუქცევს ვერც მოუსვენარი მეამბოხე და მებრძოლი, ვერც გულცივი მოტრფიალე დახავსებული მშვიდობიანობისა და წესიერების. ეს თითქოს ანბანია დღევანდელი დღის, ეს თითქოს ჰაერია, რომელსაც ვსუნთქავთ: ზნეობა, პოლიტიკა, ეკონომიკა, ეროვნება, კაცობრიობა, ოჯახი, სიყვარული, მეგობრობა, საზოგადოება—ყველაფერი ინდივიდუალისა და სოციალურის გარშემო ტრიალებს.

ვიღაცამ სთქვა: ნაპოლეონი უკანასკნელი დიადი პიროვნება იყო ისტორიაში და ნიცშე უკანასკნელი მგოსანი ასეთი პიროვნებისაო. რამდენად მართალია ეს, ამის გარჩევას არ შევუდგებით აქ. ხოლო ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ახალს დროს, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნიდან ახასიათებს სულ სხვა თვისებები, ვიდრე წინანდელს. წინად ისტორიაში უმთავრეს როლებს თამაშობდა რამდენიმე გამოჩენილი ადამიანი, ფართო მასსა, ხალხი კი უფრო პასიურს როლს ასრულებდა, უფრო სხვისი ნებისა და სურვილის აღმსრულებელი იყო. წინად ხმა და ძალა ბატონებს და რაინდებს ეკუთვნოდა, დანარჩენები კი მეტწილად ამ ხმის ამყოლნი იყვნენ, ამ ხმას იმეორებდნენ. სულ სხვაა დღეს. დღეს ისტორიული ტრაგედია უფრო მასსიურია და ხალხური. დღეს უპირველეს როლს ერთი და ორი გამოჩენილი პიროვნება კი არ ასრულებს, არამედ მთელი ხალხი, რომლის სურვილი და ბრძანება ამოძრავებს მსოფლიოს. დღეს ომს იგებს თუ აგებს მთელი ერი და საზოგადოება, და არა სარდალი.

ეს რასაკვირველია, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სამუდამოდ გაჰქრა ნიადაგი გამოჩენილ პიროვნების წარმოსაშობად და აღარ არიან, აღარც იქნებიან გენიოსები. არა, გენიოსები, შეიძლება მეტნიც არიან ჩვენს დროში და კიდევ უფრო ბევრნი იქნებიან მომავალში, მაგრამ დღეს მათი მოღვაწეობა სხვა ხასიათისაა და, რაც უფრო დიდმნიშვნელოვანია, ამ გამოჩენილს ადამიანებს დაუახლოვდა ხალხი, მთელი ერი და კაცობრიობა და ამიტომაც არ ბრწყინავს ისე დიდებულად, როგორც წინად, და მათი შუქი წინანდებურად არ ჰკვეთს ჩვენს თვალებს, რადგან ბრწყინვალება ხშირ მოვლენად გარდაიქცა და თვალები შეეჩვივენ მას. ნიჭი, ცოდნა, შეგნება, მოქმედება წინად თუ მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო, ეხლა ამას მდაბიო ხალხიც მიწვდა და საერო, საკაცობრიო მოღვაწეობაში მონაწილეობას იღებენ „დიდ" კაცებთან ერთად „პატარა" კაცებიც.

ეს ერთი დამახასიათებელი თვისებაა თანამედროვე ცხოვრების.

მეორეს მხრით, წინად ყოველი თითოეული ადამიანი, წოდება, ჯგუფი, კუთხე, ქვეყანა განცალკევებულად სთვლიდა თავის თავს. ყოველი თავისთვის სცხოვრობდა, თავის მოთხოვნილებას და საჭიროების უწევდა მხოლოდ ანგარიშს, თავის არსებობით იყო დაინტერესებული და მარტო საკუთარს ძალღონეს ემყარებოდა. ეხლა დამსხვრეულია ესეთი განცალკევებულობა და კარჩაკეტილობა და ერთის პიროვნების თუ საზოგადოების ბედი და იღბალი გარდაუვალის რგოლებითაა გადაჭედილი მეორეს მდგომარეობასა და ცხოვრებაზე. ერთის ეკონომიურს, პოლიტიკურს, ეროვნულს, სოციალურს ინტერესებს საზღვრავს მეორეს ინტერესები და ერთის მოქმედებას საფუძვლად ედება მეორეს აზრი და შეხედულება. სოლიდარობა, შეთანხმება, ერთობა ხდება დღევანდელი კაცობრიობის არსებობის აუცილებელ პირობად. თითოეული ადამიანი იძულებულია პირდაპირ გარდაუვალის აუცილებლობით შეუკავშირდეს მეორეს, შეადგინოს საზოგადოება, წრე, ჯგუფი საკუთარისა და მასთან საერთო მიზნის მისაწევად; თითოეული საზოგადოება უძლურია, თუ მის მოღვაწეობასთან შეთანხმებული არაა მეორე საზოგადოების მისწრაფება; ერთი ერი ვერ უზრუნველ ჰყოფს თავის დამოუკიდებლობას, თუ ამისთვის ხელს არ შეუწყობენ სხვა ერები. ერთობას და სოლიდარობას მოითხოვს ყოველ წუთს ჩვენგან დღევანდელი მდგომარეობა. განცალკევების ხანა სამუდამოდ დაიმარხა ისე, როგორც დაიმარხა ის დრო, როცა ხალხი მხოლოდ ყურმოჭრილი ყმა იყო ბატონების და ბრძანებლებისა.

ეს ორი თვისება—სოლიდარობის გაძლიერება, საზოგადოებრივობის განვითარება და ისტორიული ცხოვრების გახალხურება — უპირველესი ნიშანია ახალი დროების. ესაა ის დემოკრატიული სოფლმხედველობა, რომელიც დღითი დღე იზრდება და მეტსა და მეტს ასპარეზს ჰპოულობს. დემოკრატია ძლიერდება იმიტომ, რომ მისკენაა მიმართული მთელი კაცობრიობის წინმსვლელობა. დემოკრატია იზრდება იმიტომ, რომ იზრდება ხალხი, ერი, კაცობრიობა; კაცობრიობა საერთოდ და თითოეული ადამიანი კერძოდ უფრო და უფრო შეგნებული და აქტიური ხდება და ეს ასაზრდოებს დემოკრატიას. მაგრამ არავინ არ უნდა იფიქროს, რომ სოლიდარობის და ისტორიის გახალხურება, გამასსიურება მოასწავებს ადამიანის პიროვნების დაჩაგვრას და შელახვას, დამცირებას, დაპატარავებას. პირიქით დემოკრატიის, დემოკრატიული სოფლმხედველობის დედა საფუძველი ადამიანის პიროვნების პატივისცემაა. ისტორია არასოდეს არ მიიღებდა იმ საყოველთაო, ხალხურს ხასიათს, რომელიც ზევით დავასახელეთ, და არასოდეს ჩაისახებოდა ადამიანთა და ერთა სოლიდარობა, რომ შეურყეველ მცნებად არ იყვეს მიღებული, რომ ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი პოლიტიკურ, სოციალურ, სარწმუნოებრივ, ეროვნულ თუ სხვა მდგომარეობისა, ადამიანია, აღჭურვილი ხელუხლებელი თანასწორ ღირსებით და უფლებით, პატივისცემით. დემოკრატია ერთს დღესაც ვერ გასძლებდა, რომ არ ემყარებოდეს ადამიანის პიროვნების თავისებურობის მაღალს განვითარებასა, შემოქმედებასა და აქტიურობაზე. პირიქით, დემოკრატიას მთელი სამყარო უნდა გარდაჰქმნას მაღალის ადამიანობის, აქტიურ შემომქმედ ადამიანობის მეოხებით.

მაგრამ დემოკრატიის არა ჰსურს, რომ ადამიანობა, პიროვნება, ღირსება მარტო რამდენსამე რჩეულს მიაკუთნოს, არა იგი ყველას მოუწოდებს შემოქმედებისათვის, თავისუფლებას ყველასთვის ამკვიდრებს, ქვეყანა ყველასთვის უნდა. დემოკრატია არ უარჰყოფს ინდივიდუალობას, პიროვნებას, მხოლოდ ამბობს, რომ პიროვნების ძლიერება სოციალობაშია, რომ თავისებური უნდა შეუკავშირდეს საერთოს, საზოგადოს...

სიტყვა.

ტფ. ქალაქის საბჭო

24 მარტის კრება.

კრება იწყება საღამოს ცხრის ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის მოადგილის **თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

წარსულ კრების ოქმისა და დამტკიცების შემდეგ ხმოსნები შეკითხვების მიცემის სურვილს აცხადებენ.

თავმჯდომარე. შეკითხვათა უფლებას მე დიდად პატივსა ვცემ, თუ ამ შეკითხვას საზოგადოებრივი ხასიათი აქვს. ამიტომ კარგი იქნება; ხმოსნებმა სწორედ საზოგადოებრივ ხასიათის შეკითხვები შემოიტანონ ხოლმე, რათა დრო, რომელიც ჩვენთვის მეტად ძვირფასია, ტყუილ-უბრალოდ არ დავკარგოთ.

შეკითხვები.

ხმ. მიტკევიჩი (დაცინვით). მადლობას მოვახსენებ თავმჯდომარესა რომ შეკითხვათა უფლებას შეეხო და გვასწავლა, რომ შეკითხვას საზოგადო ხასიათი უნდა ჰქონდესო. ჩემის აზრით ყველა იმას, რაც ამ დარბაზში ითქმის ხოლმე, საზოგადო ხასიათი აქვს. მე მგონია საზოგადო ხასიათი აქვს ამ ჩემს შეკითხვასაც, დიდის მთავრის ქუჩის მოკირწყვლა 1913 წელს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ახლაც არ დასრულებულა: ამას გარდა როტინოვის სახლი უნდა გეყიდათ და დაგენგრიათ ქუჩის გასაფართოვებლად. არც ეს საქმეა გაკეთებული. რითი ავხსნათ ეს დაგვიანება?

თავმჯდომარე. დიდის მთავრის ქუჩის მოკირწყვლა იჯარით მიცემული აქვს ინჟენერ მირზოევს. მასთან ხელშეკრულება არის დადებული და საქმის დასასრულებლად ვადა აქვს მიცემული, რომელიც ჯერ არ გათავებულა. რაც შეეხება როტინოვის სახლს, ეს საქმე შეფერხდა უფროს ნოტარიუსთან.

ხმ. გალსტიანი. წესიერ დასვენების სავალდებულო დადგენილებებს თითქმის სრულიად არ ასრულებენ. კვირა-უქმე დღეებში ვაჭრებს ნება აქვთ 5 საათი ივაჭრონ, მაგრამ ამაზე მეტს ვაჭრობენ ცხადად და უკანა კარებიდანაც. მაგალითად, ვაჭარ დავიდოვი (თამამშევის ქარვასლის ქვეშ) იქამდე მივიდა, რომ ოფიციალურად გამოუკიდნია განცხადებას კვირა-უქმე დღეებში ვაჭრობის ნება მაქვს დილის 7 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდეო, ესე იგი 6 საათსაო. საჭიროა ამას ჯეროვანი, ყურადღება მიექციოს. კარგი იქნება აგრეთვე განისაზღვროს რიცხვი სასანიტარო მზრუნველებისა.

თავმჯდომარე გალსტიანს ჰპირდება, რომ მიღებულ იქმნება შესაფერი ღონისძიებანი.

ხმ. სულაბერიძე. მეტეხის ხიდთან, მტკვრის ნაპირას ვიღაც სახლს აშენებს. საძირკველი ამოუყვანიათ მტკვრის კლდიან ნაპირიდან. მე მგონია, რომ ეს ადგილი რომელიმე კერძო მესაკუთრისა არ უნდა იყოს. ამას გარდა მინდა გავიგო, ქალაქის გამგეობას ვისთვისმე მიცემული აქვს თუ არა ნებართვა ამ სახლის აგებისა!

თავმჯდომარე. ყოველივეს გამოვარკვევთ და პასუხს მომავალ ორშაბათს მოგახსენებთ.

ხმ. პოპოვი. ეტლების ნიხრი ეტლებზე მიკრულ პლაკატებზე შეცდომით არის აღნიშნული.

თავმჯდომარე. მოკლე ხანში შეკვეთილ იქმნება ახალი პლაკატები, სადაც ნიხრი სწორედ იქმნება აღნიშნული.

ხმ. ტერტეროვს აინტერესებს, ვისი ხარჯით იქმნება შეკვეთილი პლაკატები.

დარბაზში საერთო სიცილია.

თავმჯდომარე. ჯერ არ ვიცი, ვისი ხარჯით გავაკეთებინებთ პლაკატებს.

ხმ ბაბოვი. კარგა ხანია, შეგეკითხეთ საიჯარო სტოლისა და სამიწისმზომლო განყოფილების საქმეების შესახებ. თქვენ დამპირდით, რევიზიის შემდეგ სარევიზიო კომისიას გადავცემთო და ჩქარა თქვენც გაცნობებთო. გადის დრო და ჩემს შეკითხვის პასუხი აღარ არის; როდის მივიღებ პასუხს, არც ის ვიცი. თუ შეკითხვა ასე უყურადღებოდ იქმნება გამგეობის მიერ დატოვებული, მაშინ იძულებული ვიქნები სხვა ღონისძიებანი მივიღო.

თავმჯდომარე. რა ღონისძიებანი?

ხმ. ბაბოვი. ეგ ჩემი საქმეა.

თავმჯდომარე. ყოველ შემთხვევაში საქალაქო დებულების ფარგლებს არ უნდა გადასცდეთ.

ხმ. ბაბოვი. თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ; მე არ გადავსცდები.

გამგეობის წევრი **მ. ნ. ათაბეგოვი.** საიჯარო სტოლისა და სამიწისმზომლო განყოფილების რევიზიას მეტად დიდი დრო მოუნდა. რევიზიის შემდეგ ამ დღეებში ქალაქის გამგეობა განიხილავს, რაიმე დადგენილებას გამოიტანს და მოკლე ხანშივე სარევიზიო კომისიას წარედგინება.

პასუხი ხმ. ბაბოვს სავსებით არ აკმაყოფილებს.

ხმ. ტიგრანოვი. შეკითხვათა უფლება, როგორც თავმჯდომარემ ბრძანა, პატივსაცემია, მაგრამ ხმოსნებმა ეს უფლება ბოროტად როდი უნდა მოიხმარონ. დღეს რვა შეკითხვა იყო და დიდი დრო დაგვეკარგა ცუდ უბრალოდ.

ხმოსნები: პროტესტს აცხადებენ ტიგრანოვის სიტყვის წინააღმდეგ.

ხმ. მიტკევიჩი. რას ნიშნავს ტიგრანოვის სიტყვა? რა მაგისი საქმეა კრიტიკა გაუკეთოს ხმოსნებს, რომელთაც შეკითხვა შეაქეთ?

ხმ. ბაბოვი სიტყვას ითხოულობს. თავმჯდომარე არ აძლევს ნებას.

ხმ. ბაბოვი. რას ნიშნავს ეს? ტიგრანოვს სიტყვის ნება მისცეს და მეორე ხმოსანს კი ნებას არ აძლევენ, მას პასუხი გასცეს.

თავმჯდომარე. გაძლევ პირველ შენიშვნას.

ხმ. ბაბოვი. აქ სიტყვას აძლევენ თავის აგენტებს.

თავმჯდომარე. ესეც მეორე შენიშვნა... ესეც მესამე. (მდივანს) შეიტანეთ ოქმში, რომ ხმ. ბაბოვს სამჯერ მივეცი გაფრთხილება და არ დამემორჩილა. შეიტანეთ ისიც, რომ მან სთქვა, თვის აგენტებს აძლევენ სიტყვასაო.

ხმ. ბაბოვი. როგორც გნებავდეთ.

შეკითხვები თავდება. იწყება განსახილველ საგანთა სიაში შეტანილ საკითხების განხილვა.

თავმჯდომარე. პირველი საკითხი ოლგას ქუჩაზე ტრამვაის პავილიონის აშენების შესახებ უნდა გადაიდოს, რადგანაც ეს საკითხი ჯერ კიდევ რამდენიმე მხრით გამოურკვეველია.

ხმ. ბაბოვი. როდესაც საკითხი გამორკვეული არა გაქვთ, ნურც შეგაქვთ ხოლმე განსახილველ საგანთა სიაში.

ამის შემდეგ გამგეობა აცნობებს კრებას, რომ კუკიის აგარაკი იჯარით გაიცა 6,050 მან. წელიწადში, ხოლო მხალაკახიანთ ხიდი—5,905 მ. საბჭო ამ განცხადებას მხედველობაში იღებს და შემდეგ ადგენს, აღძრას შუამდგომლობა, რათა ხაზინამ ტფ. ქალაქის თვითმმართველობას კვლავ მისცეს შემწეობა ჯარების ბინის ხარჯის გასასტუმრებლად.

ხანგრძლივ კამათს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ **როგორ განაწილდეს სამუშაო ქალაქის გამგეობის წევრთა შორის.**

გამგეობამ საბჭოს წარმოუდგინა პროექტი ამ სამუშაოს განაწილებისა: **პირველი განყოფილება**, რომელსაც განაგებს **ნ. მ. ათაბეგოვი:** სასკოლო ნაწილი, სახალხო სახლი, ბიბლიოთეკა - სამკითხველოები და აუდიტორიები, სასამართლო ნაწილი, ნივთიერი განყოფილება, საადმინისტრაციო ნაწილი, საზოგადოებრივი მზრუნველობა და ქველ-მოქმედება, სატყეო-საბაღოსნო ნაწილი, სამხედრო სტოლი და არქივი. **მეორე განყოფილება,** რომელსაც განაგებს **გ. დ. ჟურული;** კასა, ბუჰგალტერია, სახარჯთაღრიცხვო ნაწილი, საკრედიტო ნაწილი, სპეციალური თანხები, ლომბარდი, სადამფასებლო განყოფილება და საელექტრონო სადგური. **მესამე განყოფილება,** რომელსაც განაგებს **თ-დი ა. მ. არღუთინსკი - დოლგორუკოვი:** სატეხნიკო განყოფილება, საარხო ნაწილი, წყალსადენის განყოფილება, ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ნაწილი და სასაკლაოები. **მეოთხე განყოფილება,** რომელსაც განაგებს **მ. ა. ჯაბარი:** სამეურნეო-საიჯარო ნაწილი, გადასახადთა განყოფილება, სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეობა, სამიწისმზომლო განყოფილება, საინვენტარო ბიურო, შრომის ბირჟა და წყალსადენი. **საგანგებო განყოფილებანი,** რომელიც იქნება **ქალაქის მოურავის** ხელში: საერთო კონტროლი, საბჭოს კანცელარია, სასტატისტიკო ბიურო, გამგეობის სეკრეტარიატი, საერთო რეგისტრატურა და სამუნიციპალო მუზეუმი.

საბჭოს ეს პროექტი არ აკმაყოფილებს და საჭიროდ სცნობს, პროექტი დროებით დაამტკიცოს და ამასთანავე ამოირჩიოს კომისია, რომელიც შეიმუშავებს გამგეობის წევრთა შორის სამუშაოს განაწილების ახალ პროექტს.

ნაძალადევის თეატრის წევრთა წლიური კრება

ნაძალადევის თეატრის წევრთა წლიური კრება 23 მარტს მოხდა. კრებას ხალხი ცოტა დაესწრო, თავმჯდომარედ აირჩიეს ბ. ალ. ქობულაშვილი. ძველმა გამგეობამ საზოგადოებას გააცნო წარსულ წელთა მოქმედების ვითარება და საერთო ხარჯთ-აღრიცხვა. სარევიზიო კომისიის წევრებმა (რუსებმა) განაცხადეს: „არსებულ გამგეობის მიერ განსახილველად გადმოცემული ანგარიშები მეტნაწილად ქართულად იყო შედგენილი და ამის გამო ბევრი საანგარიშო ქაღალდები ვერ განვიხილეთო".

ასეთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, რომ სარევიზიო კომისიაში ქართველებიც აერჩიათ. მაშინ აღარ მოხდება ასეთი გაუგებრობა.

კრებაზე ლაპარაკი მეტნაწილად რუსულად იყო, რის გამოც დამსწრენი სამართლიანად თხოულობდნენ: „ბევრს არ გვესმის, ქართულად ილაპარაკეთო".

ბოლოს ამოირჩიეს ახალი სარევიზიო კომისია, რომელმაც ერთხელ კიდევ უნდა განიხილოს ანგარიში და წარმოადგინოს მომავალ კვირას.

მიშო.

მუშათა ცხოვრება

(დეპეშა)

რიგა. რუსეთ-ბალტიის ქარხნის „ფენიქსის" ელექტრონის კომპანიისა და სხვა ქარხნების მუშები დილითვე გაიფიცნენ. გაფიცულია 30,000 კაცი. 68 ქარხანაში 33,000 მუშაა გაფიცული, ნავთსადგურში 700. გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობს. ერთი ხელობა შეეცადნენ დემონსტრაცია გაემართათ და ორი დატუსაღებული აგიტატორი გაენთავისუფლებინათ, მაგრამ პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა. სამი კაცი დაატუსაღეს.

პეტერბურგი. მუშაობა დაიწყეს დროებით დახურულმა ქარხნებმა ახალი და ძველი ლესნერის, ლიუდვიგ ნობელისა, პეტერბურგის ლითონისა და მანქანათა ამშენებლისა „ფენიქსი" და სხვა წვრილმანმა. 26 მარტს დაიწყება მუშაობა პუტილოვისა და სხვა დახურულ ქარხნებში, გარდა ერთი ბალტიის გემთაშენისა, სადაც მუშაობა აღდგომის შემდეგ განახლდება.

მუშათა მოძრაობა რუსეთში

მოსკოვის გაზეთ „რუსკია ვედომოსტის" მე-65 ნომერში საგულისხმო წერილია დაბეჭდილი ვინმე ე. კ—სი.

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ბოლო დროს რუსეთის მუშათა მოძრაობამ უკიდურესობამდის მიაღწია და ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო. მუშები ახდილად და აშკარად აცხადებენ უკმაყოფილებას. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ამ ბოლო დროს მუშა ქალთა მასიურმა მოწამვლამ. წერილის ავტორი ამბობს: სულ ერთია, რაც უნდა იყოს, ლენის ამბებია, შეკითხვაა სათათბიროში, მუშათა პრესისა და ხელმძღვანელთა დევნა თუ დაპატიმრება, ტოლსტოის წლის თავია თუ სხვა რაიმე შემთხვევას ამბავი, მუშები ხარბად ეწაფებიან, რათა თავისი დაგუბებულ უკმაყოფილებას გზა მისცეს და გამოამზეურონ. ავტორი ამბობს: „მუშათა მასა იფეთქებს ხოლმე, როგორც თოფის წამალი, სტოვებს მუშაობას და ასობით და ათასობით გადიან ქუჩაში; არავითარ ძალას, არავითარ რეპრესიას არ ძალუძს შეაჩეროს და ჩაჰკლას მუშათა მრისხანე უკმაყოფილება".

ავტორი სცდილობს გამოსძებნოს მიზეზები იმისა, თუ რატომ არის, რომ მუშათა აღელვების ცეცხლი ხან იფეთქებს და ხან მინელდება, და კი არასოდეს არ ჩაჰქრება.

ფართო და ძლევამოსილი მოძრაობა მუშებისა 1903—1905 წლისა თანდათან ნელდება და ყუჩდება, ვიდრე 1910 წლამდე. ამ წელს, თითქმის მიმკვდარი იყო მუშათა მოძრაობა. 1905 წელს 13,995 გაფიცვა იყო; გაფიცვაში მონაწილეობდა 2,863.173 მუშა. (საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ეს ციფრები ნამდვილად ვერ გამოჰხატავს მუშათა მოძრაობის მთლიან სურათს, რადგანაც ოფიციალურ ცნობებში აღნიშნულია გაფიცვა იმ ქარხანა-ფაბრიკებისა, რომელნიც ექვემდებარებიან საფაბრიკო ინსპექციას). 1910 წელს გაფიცვათა რიცხვი სრულიად უმნიშვნელო იყო; 223 გაფიცვა 46,623 მონაწილეთი. 1911 წლიდან მუშათა მოძრაობა თანდათან ფართო ხასიათს იღებს. ამ წელს გაფიცვა იყო 446, მონაწილეობას იღებდა 105,110 კაცი. მოსკოვის მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოების ცნობით 1912 წლის პირველ იანვრიდან 1913 წლის პირველ ივლისამდე გაფიცული იყო 1.700,000 კაცი.

ამ რიგად მუშათა წინააღმდეგ მიმართულმა რეპრესიებმა ვერ გასჭრა და ვერ დაჩრდილა მუშათა მოძრაობა, პირ-იქით უფრო გაამწვავა და გააძლიერა.

მუშათა მოძრაობის გაფართოვებას ხელს უწყობდა კიდევ სხვა და სხვა მიზეზები. ამ მიზეზთა შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს მრეწველობის გაფართოვებას, რამაც წარმოშვა ეკონომიურ ხასიათის გაფიცვები. მაგრამ იმავე საზოგადოების ცნობით, ზემომოყვანილ გაფიცვის რიცხვის ერთი ნახევარი პოლიტიკურის ხასიათისა იყო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ გაფიცვის გამომწვევი ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები ერთი მეორეში იხლართება და ხშირად ეკონომიური გაფიცვა პოლიტიკურ ელფერს იღებს და პოლიტიკური ეკონომიურს. უმეტეს ნაწილად გაფიცვებს თან სდევდა მრავალი დაპატიმრება და გადასახლება, მუშათა პრესის დევნა და სხვა ამგვარი შევიწროვებანი.

როგორც კი იჩინა თავი ეკონომიურმა მოძრაობამ, მაშინვე დაიბადა საჭიროება ეს გაფიცვები მიზანშეწონილად და გონივრულად ეწარმოებინათ, რათა ზედმეტი ენერგიის დახარჯვა თავიდან აეცილებინათ. ამ საქმეს გაუძღვება მხოლოდ მუშათა კავშირები და საპროფესიო საზოგადოებანი. 1905 წელს ზოგიერთ პროფესიაში შეკავშირებული იყო მუშათა 50%. საზოგადოებრივმა აპატიამ და მოდუნებამ მუშებზედაც იქონია გავლენა, რეაქციამ სულ მთლად დაჰქსაქსა მუშათა შეერთებული ძალები. ამის გამო მუშათა მოძრაობას არა ჰქონდა მწყობრი ხასიათი და უფრო სტიქიური იყო. 907 წელს მაინც 120,000 მუშა იყო შეკავშირებული. 1912 წელს იყო მხოლოდ 63 კავშირი; 24 კავშირში შედიოდა 11,700 მუშაა. (დანარჩენზე ცნობები არ არის).

1912 წელს შემდეგ იწყება ახალი ტალღა შეკავშირებისა. 1913 წლის დასაწყისში 88 კავშირი იყო, ამათში 57 კავშირში ირიცხებოდა 13.500 კაცი; 1913 დამლევს 114 კავშირი იყო; 72 კავშირში ირიცხებოდა 34,266 კაცი. პეტერბურგზე მოდის 23 კავშირი 15,842 წევრით.

მუშები და განსაკუთრებით სატახტო ქალაქის მუშები სცდილობენ, რაც შეიძლება ფართო მასას მოედოს ორგანიზაციის რკალი, რათა ამით მუშათა ეკონომიურ ბრძოლას უფრო მეტი კულტუროსნობა მიეინიჭოს და თავიდან აიცილონ ის არა სასურველი ექსცესები, რომელნიც ყოველთვის თან სდევენ უორგანიზაციოდ მოწყობილ გაფიცვებს.

როგორ ეგებება ადმინისტრაცია მუშათა წადილს და მისწრაფებას, რათა ბრძოლის ღონისძიებანი უფრო კეთილშობილური იყოს? მუშათა კავშირების გამგეობის წევრებს აპატიმრებენ, კრებებს ჰკრძალავენ, წესდებას არ ამტკიცებენ, მუშათა გაზეთებს აჯარიმებენ და იჭერენ. სათათბიროში შეტანილი შეკითხვები მუშათა აუტანელ მდგომარეობაზე ცხად ჰყოფენ მუშათა მოქმედების საშინელ სურათს.

პოლიტიკურ პარტიის წევრობა ხომ 102 მუხლით ისჯება, რასაც მოსდევს მრავალ წლის კატორღა. თუ დამტკიცდა, რომ რაიმე ურთიერთობა ჰქონია მუშას სოციალისტურ პარტიასთან იგი ციხითა და სამუდამო გადასახლებით ისჯება.

მაგრამ, ეს არის მუშათა მოძრაობის მებრძოლი ფორმები. რა მდგომარეობაშია მუშათა მოქმედების არა მებრძოლი საშუალებანი, როგორიცაა მაგ., დაზღვევის საქმე? აპატიმრებენ და იჭერენ საავადმყოფო კასების გამგეობის წევრთ, ჰკრძალავენ ლექციებს, სდევნიან იმ ხალხს, რომელნიც სცდილობენ განუმარტონ მუშებს დამზღვევ კასების მნიშვნელობა და სხვა.

ამის გარდა ამ ბოლოდროს შემჩნეულია მუშებში ლტოლვილება ცოდნისა და განვითარებისაკენ. ამის მისაღწევად აარსებენ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებებს— მუშათა კლუბებს. მოსკოვში უკვე დამტკიცებულია თვითგანვითარების საზოგადოებანი „პროგრესი", „განათლება", „გონივრული პროგრესისი" და სხვა. აქაც გამგეობის წევრებს მოელით ის ხვედრი, რაც ჩვეულებრივ ხმარებაშია: დაპატიმრება, გადასახლება; კრებების აკრძალვა, კლუბის ბინების ჩხრეკა და სხვა. აი ყველა ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო ჰხდება მუშათა მოძრაობის გაფართოვება და გაძლიერება.

დეპეშები

(დეპეშათა აგენტ. საგანგებოთაგან).

24 მარტი.

უცხოეთი.

ვენა. კრაკოვიდან დეპეშით იწერებიან; კოსტიუშკას მოსაგონად ნაციონალური დღესასწაული გამართეს. პოლონელთა სახალხო პარტიის ორივე ჯგუფის კრებები მოხდა. ნამინისტრალ დლუგოშის ჯგუფის კრებაზე მიიღეს რეზოლიუცია, მთელი პოლონელი ხალხი უნდა გაერთიანდესო. სტაპინსკის ჯგუფმა სურვილი გამოსთქვა, თავისი საკუთარი პოლიტიკა აწარმოვოს, რის გამოც პოლონელთა კოლოდან გამოვიდა. ნაციონალურ საკითხებში პარტია თანხმობას უცხადებს იმ ელემენტებს, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობას ჰქადაგებენ. რეზოლიუციაში ნათქვამია, მზად ვართ რუსეთის წინააღმდეგ ვიბრძოლოთო; პროტესტია გამოცხადებული პრუსიის პოლონეთში ძალდატანებით მიწის მობილიზაციის წინააღმდეგ.

სტამბოლი. ბითლისიდან იტყობინებიან, ბრძოლა შესწყდა. აჯანყებული ქურთები ქალაქიდან გადიან.

ვენა. ჰუნგრეთის ოპოზიციური პარტიის ერთმა ნაწილმა პრესაში და საზოგადოებაშიაც გაილაშქრა სამთა კავშირის წინააღმდეგ. ამბობენ, 30 დეპუტატს აზრადა აქვთ, რუსეთის სათათბიროს სადარბაზოდ ეწვიონ. ამ ხმებს სხვანი უარსა ჰყოფენ.

თეირანი. შინაგან საქმეთა მინისტრი პრინცი ეინუდ-დოულე სამსახურიდან გადადგა. შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი სეპეხდარს შესთავაზეს. ჰფიქრობენ, სეპეხდარი დასთანხმდებაო.

სკოპლე. ალბანელთა აჯანყება პრიზრენის ახლო სრულიად ჩააქრეს. დანამდვილებით იციან, რომ აჯანყებულებში 80 თავისუფალ ალბანეთიდან იყო.

ტოკიო. კიოურომ კაბინეტის შედგენაზე უარი განაცხადა.

25 მარტი.

ბუდაპეშტი. საერთო უმუშევრობის გამო ჰუნგრეთის მთავრობა იძულებული იყო საზოგადო სამუშაოები გაეჩინა,

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესსე" დურაცოდან აცნობებენ: კორიცის აჯანყებულებმა სრული მორჩილება გამოუცხადეს ალბანეთის მთავრობას. კორიცის მიტროპოლიტი, რომელიც აჯანყების მეთაურად არის ცნობილი, დაატუსაღეს.

ტოკიო. ხმებია, იმპერატორმა კიოურას უარი არ მიიღოვო.

დურაცო. კორიციდან იტყობინებიან, სოფელ ევნის ახლო დაუმარცხებიათ აჯანყებულთა რაზმი, რიცხვით 300 კაცი. ტყვედ წაუყვანიათ 5 ბერძენი ჯარის-კაცი.

ულსტერის ამბები.

ლონდონი. „ივინინგ-ნიუსი"-ს აცნობებენ, რომ იარაღი და 24 ტყვიისმფრქვეველი, რომლებიც ულსტერის მოხალისეებისთვის იყო გაგზავნილი, აჯანყებულთა უმთავრესს ბინაზე მიიტანესო.

საზოგადოებათა პალატა. ირლანდიის ჰომრულის ბილის კითხვამ მშვიდობიანად ჩაიარა. ოპოზიციის ორატორები მოითხოვენ, საზოგადო არჩევნების დროს ულსტერი სრულიად გამოვტოვოთო. ბილის ხმა მისცა 356 კაცმა 276 წინააღმდეგ.

კაიო-კალმეტის საქმე.

პარიზი. პუანკარემ ჩვენება მისცა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს კალმეტის საქმის შესახებ. კაიო, პუანკარე ამტკიცებს, კალმეტის მოკვლის დღეს კაიო დილით ჩემთან იყო და „ფიგაროს" კამპანიის შესახებ მელაპარაკაო. კაიოს აღელვებდა, რომ „ფიგაროს" კერძო ოჯახური წერილების გამომჟღავნება განეზრახა. პუანკარე არწმუნებდა კაიოს, კალმეტი მაგას არ ჩაიდენსო. უფრო აღელვებდა ამ წერილების გამოქვეყნება ქალბატონ კაიოს.

რუსეთი.

პეტერბურგი. სათათბიროს კანცელარიის ფინანსიურმა განყოფილებამ საზოგადო ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. საერთო ჯამი ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი ხარჯისა 1914 წ. 3.580.328093 მანეთია. 1913 წელზე 329.800.000 მანეთით მეტი.

პეტერბურგი. უკანასკნელი ცნობებით 28 თებერვლის ქარიშხლის დროს დონისა და ყუბანის ოლქში დაღუპულა 445 კაცი, 974 მსხვილფეხა საქონელი; ამის გარდა ზარალია 1638475 მანეთისა.

უცხოეთი

ირლანდიის ჰომრული

ლონდონი. თანდათან იზრდება აზრი, რომ საჭიროა ინგლისის მართვა-გამგეობის ფედერატიულად მოწყობა. ასეთსავე აზრს ადგას ქვედა პალატის უმრავლესობა.

ეპირში.

დურაცოდან იტყობინებიან: თუმცა მოლაპარაკება არ დასრულებულა, ეპირელებსა და ალბანელებს შორის, შეტაკება უკვე დაიწყო. ეპირელები ყველგან იმარჯვებენ. ეპირის ქალაქების უმრავლესობა მათ ხელშია.

თეატრი და ხელოვნება

ფილარმონიული საზოგადოების დილა.

სამშაბათს, 25 მარტს ახალი კლუბის დარბაზში გაიმართა მესამე ჩვეულებრივი სამუსიკო დილა ფილარმონიული საზოგადოების სკოლის მოწაფეებისა. დილამ მსმენელებზე საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა. მოწაფეებს ეტყობათ მშვენიერი წრთვნა და მომზადება. პაწაწკინა მოწაფეებიდან დაწყებული უფროს მოწაფეებამდე ყველანი გაბედულად უკრავდნენ. უფროსი კლასის მოწაფეთა დაკვრამ და სიმღერამ კი მსმენელთა შორის აღტაცება გამოიწვია. სჩანს, სკოლის საქმე მეტად მკვიდრს ნიადაგზე სდგას და იმედია შემდეგ კიდევ უკეთ წავა საქმე. მხოლოდ ერთი ნაკლი უნდა აღვნიშნოთ: პროგრამაში არაფერი ქართული არ იყო, და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ფილარმონიული საზოგადოება თავის მნიშვნელობას დაჰკარგავს, რადგან საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების სასწავლებელიც იმასვე ასწავლის, რასაც ფილარმონიის სკოლა; მხოლოდ განსხვავება სწავლის ფასში იქნება. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ჩვენ ჯერ სრულებით არა გვაქვს არც ეტიუდები, არც სახელმძღვანელოები და არც პიესები ქართულის ხასიათისა. მაგრამ სწორედ ამას უნდა სცდილობდნენ ფილარმონიის სათავეში მდგომნი, რომ შეჰქმნან ყოველივე ეს. მაშინ ექნება მნიშვნელობა მათ ამაგსა და ღვაწლს. კერძოდ აღვნიშნავთ სკოლის დირექტორის ბ. ზ. ფალიაშვილის მუყაითობას და დაუღალავ შრომას; დარწმუნებული ვართ იგი შეასწორებს ამ ნაკლს და მომავალში შეძლებას მოგვცემს ამ სკოლას „ქართული" ვუწოდოთ.

„ახალი კლუბი" მადლობის ღირსია დარბაზის უფასოდ დათმობისათვის, მაგრამ უკეთესი იქნებოდა რომ თეატრი დაეთმო.

უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი ქალებს: ჩურჩულისათვის და სიცილ-ხარხარისთვის სხვა ადგილის მოძებნა შეუძლიათ. განი.

ტფ. I ლ ქართველ მუშათა მომღერალ-[illegible] გუნდის კონცერტი.

ეს კონცერტი გაიმართა ზუბალაშვილის სახალხო სახლში მიხეილ კავსაძის ლოტბარობით, სამშაბათს, 25 მარტს. კონცერტის წინ ი. კარგარეთელმა ფრიად შინაარსიანი ლექცია წაიკითხა „ჩვენი მუსიკის განვითარების უმთავრესი მომენტების შესახებ" და დამსწრეთა მხურვალე ტაში გამოიწვია. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელიც სამის განყოფილებისაგან შესდგებოდა. მუშათა გუნდმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა; მწყობრად და ლამაზად მღეროდნენ ქართლ-კახურსა და იმერულ სიმღერებს. ეტყობათ მშვენიერი მომზადება და საქმისადმი სიყვარული, რომელიც, იმედია, საქმეს თანდათან წინ წაიყვანს. ხალხი კონცერტს ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა. მ.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მარდის ფერი ბროლის საპონი.



ვისაც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711".
ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულჰენსისა.
ნაჭერი 25 კ.
Метиль. 547912.
1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.

მემ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. ბაგრატიონი: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბ[illegible]: 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა ბავშვებისა.
ბ. გ. [illegible]: 10—11 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. [illegible]: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. [illegible]: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და [illegible].
[illegible] 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. [illegible]: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. [illegible]
[illegible]
1171 [illegible] ა. ნავასარდიანი.

ექიმი გ. მუხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. ოლღი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ქალთა ნინო რცხილაძე. გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ფეხსაცმელების მაღაზია
თომა დ.
ჯანყარაშვილისა
მუხრანის ქ. № 2.

მიღებულია სააღდგომოდ დიდძალი ფეხსაცმელები ამხ. პეტერბურგის მექანიკური და ვარშავისა ქალებისა, ვაჟებისა და ბავშვების. ფასები ხაქარხნო. აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები. 172.

საავადმყოფო თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვონზის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ბათუმი
ვექილი
მიხეილ ნასიძე
სცხოვრობს კარანტინის ქუჩაზედ, სახლი № 105.
მიიღებს სასამართლო საქმეების გამო ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე. 176

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
ახლად მიღებული წიგნები:
აბ.-ფარო. Грузинскіе хизаны и идеологи хизанства. т 1913, 20 კ.
ს. ლ. ავალიანი. Крѣпостное право и исторія Крестьянской реформы въ Тифл. и Кут. губ., ოდესა, 1912, 2—50 „
Крестьянская реформа въ Мингр., Сван и Сухумск. отд., ოდეს. 1913, 1— —
Очерки по крестьянскому вопросу въ Закавказьѣ, 30 „
Опытъ Исторической хрестоматіи, ოდესსა, 1913, 1—
МАРРЪ. Опредѣленіе языка второй категоріи Ахеменидскихъ клинообразныхъ надписей, პეტ. 1914, —75 „
ვედრებას. Нетронутый уголокъ, —60 „
გლახაშვილი. წყურვილი, დრ. 4 მ. —30 „
ი. რაზიკაშვილი. გონიერი და იაფი მიწათ-მოქმედება-მეურნეობა, —10 „
—ლორის მოვლა და მოშენება, —20 „
—როგორ უნდა ვასწავლიდეთ, —10 „
—როგორ არის მოწყობილი სწავლის საქმე ბოლგარიაში —10 „
—საფუძველი ზნეობრივი აღზრდისა, —10 „
ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება, —20 „
მენრიკ შეინეს ლექსები. ტფ. 1913, —60 „
ს. ქვარიანი. შოთა რუსთაველი და მისი პოემა —30 „
ქიქოძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთ. 1913, 1— „
მწერალთა ოთხი, სათამაშო, შედგ. თამარ თაქთაქიშვილისაგან, 1914, —60 „
ი. ჭავჭავაძის თხზულება, ყდით, 10 მან.
ადრესი: Тифлисъ Книж. магазинъ О-ва гра .. гр. гр. нас. 1072

ინჟინერი
ი. ს. პონდოევი
ტფილისი
ელისაბედის ქუჩა, 164, ბაქოს ქ. კუთხე.
რკინის კოჭები,
საქვაბე რკინა,
ტელეფონი კანტორისა № 123.
რკინის სახურავი,
რკინა სახლის სახურავისათვის.
ცემენტი
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლში გამძლე აგური და თიხა, ლურსმები, ანკერები და სხვა საამშენებლო მასალა. 1025
აგური სახლების ასაგებად, საკუთარი აგურხანისა, ვაკეში.

კავკასიის პირველი ამხანაგობა
შეკერილ ტანისამოსისა
[illegible] (ჯავრეთ), სახლი 28—30.
ამით ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებული გვაქვს დიდ-ძალი რჩეული ტანისამოსი, უკანასკნელ ფასონით შეკერილი
კაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის
რათა მომავალ სეზონისათვის ეხლანდელი საქონელი აღარ დაგვრჩეს,
დავიწყეთ
უდიდესი იაფი ვაჭრობა
ნამდვილ ღირებულობაზე 60% -ის დაკლებით.
მაღაზიაში ყოველ საქონელზე ფასები დანიშნულია!
შეუვაჭრებლად
იაფ ვაჭრობის დროს გაყიდულ ტანისამოსის გადაკეთებას არ ვკისრულობთ.
1126 დიდი პატივისცემით ფირმის გამგე ა. ი. კადაშიანი.

ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით გამოდის ყოველ-კვირეული, სალიტერატურო, საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი
„შრომა"
რედაქცია იმყოფება გიმნაზიის ქუჩაზე ვ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.
გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . . 1 მ. 25 კ.
ერთი თვით . . . . . 25 კ.
ცალკე ნომერი . . . . 5 კ.
საზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 15 კ. უკანასკნელზე 10 კაპ. ფული და წერილები მიიღება შემდეგი მისამართით: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „ШРОМА". 1097

თევზის მრეწველნი
მმ.
ძმები
ძმველოევები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა, ტელეფონი № 14—42.